



05.02.2018

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

მესამე სამუშაო ჯგუფის  
სხდომის ოქმი №1

1. მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

სახელი, გვარი	ორგანიზაცია
ირმა გელაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ირაკლი შენგელია	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
სერგო მეთოფიშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თამარ სულაქველიძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ილია დევიძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თამარ დევდარიანი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თორნიკე გეწაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
მარიამ ცქიფურიშვილი	თბილისის საქალაქო სასამართლო
თამარ პაპაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ვახტანგ გარდაფხაძე	სსიპ - „საერთო სასამართლოების დეპარტამენტი“
ნინო დემურხანაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

## 2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

---

- 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების პროცესისა და მიღწეული შედეგების შესახებ მომზადებული ექვსთვიანი ანგარიშის სამუშაო ვერსიის გაცნობა;
- მომზადებული მასალების/პროექტების განხილვა;
- სამომავლო აქტივობების დაგეგმვა.

## 3. მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმოხილვა

---

2018 წლის 5 იანვრის მესამე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ჯგუფის 7 წევრი: ირმა გელაშვილი, ირაკლი შენგელია, სერგო მეთოფიშვილი, თამარ სულაქველიძე, ილია დევიძე, მარიამ ცქიფურიშვილი. კვორუმი შედგა, კენჭისყრის შედეგად ჯგუფის დამსწრე წევრთა სრული უმრავლესობით მესამე სამუშაო ჯგუფის სხდომას შემოუერთდნენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანამშრომელი: თამარ პაპაშვილი და სსიპ - „საერთო სასამართლოების დეპარტამენტის“ თანამშრომელი ვახტანგ გარდაფხაძე. ჯგუფის წევრები გაეცნენ 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიითა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების პროცესისა და მიღწეული შედეგების შესახებ მომზადებული ექვსთვიანი ანგარიშის სამუშაო ვერსიას და გამოთქვეს მოსაზრებები აღნიშნულის შესახებ. ჯგუფმა ასევე იმსჯელა შესრულებული სამუშაოებისა და სამომავლო აქტივობების შესახებ.

## 4. მესამე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე

---

მესამე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე ყურადღება გამახვილდა 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ აქტივობებზე: სტაჟირების ინსტიტუტის განვითარება;<sup>1</sup> დასაქმების ფორუმზე სასამართლო სისტემის მონაწილეობა;<sup>2</sup> მოსამართლეობის კანდიდატთა სარეზერვო სიის შექმნა;<sup>3</sup> მსმენელად მიღების პროცესის გაუმჯობესება;<sup>4</sup> ძველი ნაშთად დარჩენილი საქმეების შემცირების მექანიზმის

---

<sup>1</sup> პროგრამა 3.1.2-ის მეოთხე აქტივობა.

<sup>2</sup> პროგრამა 3.1.2-ის მესამე აქტივობა.

<sup>3</sup> პროგრამა 3.1.1-ის მეოთხე აქტივობა.

<sup>4</sup> პროგრამა 3.2.1.

შემუშავება/დანერგვა;<sup>5</sup> დროის მართვის, დაყოვნებების პრევენციისა და შემცირების პოლიტიკის შემუშავება/დანერგვა<sup>6</sup> და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სტრუქტურული გაძლიერება<sup>7</sup>.

ჯგუფის წევრებმა აღნიშნული აქტივობების მიხედვით დაგეგმეს სამომავლოდ შესასრულებელი სამუშაოები.

## 5. თანდართული დოკუმენტები

---

- მესამე სამუშაო ჯგუფის 2018 წლის 5 იანვრის შეხვედრის დღის წესრიგი.

თანამომხსენებლები:

 ირმა გელაშვილი

 ირაკლი შენგელია

სხდომის მდივანი:

 ნინო დემურხანაშვილი

---

<sup>5</sup> პროგრამა 4.2.2-ის მეორე აქტივობა.

<sup>6</sup> პროგრამა 4.2.2-ის მესამე აქტივობა.

<sup>7</sup> პროგრამა 4.3.2-ის მესამე აქტივობა.

---

## III სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დღის წესრიგი

---

შეხვედრის ადგილი:	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თარიღი:	5 თებერვალი, 2018
დრო:	16:00 საათი

---

### განსახილველი საკითხები:

I. 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების პროცესისა და მიღწეული შედეგების შესახებ მომზადებული ექსტენზიანი ანგარიშის სამუშაო ვერსიის გაცნობა;

II. მომზადებული მასალების/პროექტების განხილვა;

III. სამომავლო აქტივობების დაგეგმვა.